

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების განყოფილება

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური
ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

მეთოდურ – ინსტრუქციული წერილი

თბილისი

2007

შემდგენელი მარკა კალანდარიშვილი
რედაქტორი გურამ თაყნიაშვილი

025.3

ს 13

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა: მეთოდურ – ინსტრუქციული წერილი / შემდგ. მარკა კალანდარიშვილი; რედ. გურამ თაყნიაშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების განყოფილება.– თბ., 2007.– 20 გვ.

80–იან წლებში შექმნილმა საბიბლიოთეკო დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის წესებმა, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ასევე ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის წესები, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გვიჩვენა მაღალი ეფექტურობა და მოქნილობა, საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობა, მაგრამ კატალოგიზაციის თანამედროვე თეორიამ და პრაქტიკამ მოითხოვა მათი გადახედვა მოდერნიზებისა და ცვალებად გარემოში ადაპტაციის მიზნით.

წინამდებარე მეთოდურ–ინსტრუქციულ წერილში წარმოდგენილია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის წესები, რომელიც ითვალისწინებს დოკუმენტების შემადგენელი ნაწილების აღწერილობის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებებს.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანალიტიკური აღწერილობის მეთოდურ–ინსტრუქციული წერილი საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნეს ინფორმაციასა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობის სიძნელებები.

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ანალიტიკური აღწერილობის ობიექტს წარმოადგენს დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი, რომლის იდენტიფიკაციისათვის და ძიებისათვის აუცილებელია ცნობები დოკუმენტის შესახებ, სადაც ის არის მოთავსებული. შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება:
 - დამოუკიდებელი ნაწარმოები;
 - ნაწარმოების ნაწილი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი სათაური;
 - ნაწარმოების ნაწილი, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი სათაური, მაგრამ გამოყოფილია ბიბლიოგრაფიული იდენტიფიკაციის მიზნებისათვის.
- 1.2. დოკუმენტი, რომელშიც მოთავსებულია შემადგენელი ნაწილი, არის პუბლიკაციის იდენტიფიკატორი და ეწოდება მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი.
- 1.3. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას ჩანაწერის თავსათაურის გამოსაყენებლად როგორც შემადგენელი ნაწილის, ასევე მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტისათვის გადაწყვეტილებას იღებს ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფი.
- 1.4. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა მოიცავს: ა) ცნობებს, საიდენტიფიკაციო შემადგენელი ნაწილების შესახებ; ბ) შემაერთებელ ელემენტს; გ) ცნობებს შემადგენელი ნაწილის ადგილმდებარეობის შესახებ მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტში; დ) შენიშვნებს.

2. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ინფორმაციის წყაროები

- დოკუმენტის შემადგენელი ნაწილების შესახებ ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენს შემადგენელი ნაწილის პირველი, ბოლო და სხვა გვერდები (ფურცლები, ხაზები და ა.შ.), თუ მოიცავს ცნობებს შემადგენელი ნაწილის სათაურის, ავტორის, სხვა პირთა და (ან) ორგანიზაციის შესახებ, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა პუბლიკაციის შექმნაში, დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის მომზადებაში; შემადგენელ ნაწილთან დაკავშირებული კოლონტიტული; შინაარსი (სარჩევი) მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის, თუ ის მოიცავს ცნობებს შემადგენელი ნაწილის შესახებ, დოკუმენტის ჩანართები და სხვ. თანმხლები მასალები.
- 2.1. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის თითოეული სფეროსათვის გამოყენებულია ერთი ან რამდენიმე ინფორმაციის ძირითადი წყარო. ინფორმაციის ძირითადი წყაროები გულისხმობს იმ დოკუმენტებს, რომლებიც პირველ რიგში გამოყენებული უნდა იყოს ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას.
 - 2.2. თუ არ არსებობს ინფორმაციის ძირითადი წყაროები, იგი იცვლება ინფორმაციის სხვა წყაროებით – დამატებითი წყაროებით, რომლებიც მოიცავენ შედარებით სრულ ინფორმაციას. ცნობები, მოძიებული დამატებითი (ან სხვა) წყაროებიდან ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში ჩაიწერება კვადრატულ ფრჩხილებში.

3. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ენა

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას ერთმანეთისაგან განსხვავებულია შემდეგი ძირითადი ტერმინები:

დოკუმენტის ენა – დოკუმენტის ძირითადი ტექსტის ენა;

დოკუმენტის საგამომცემლო ცნობათა ენა – ინფორმაციის ძირითად წყაროში მოთავსებული ცნობები – თვით დოკუმენტში;

კატალოგიზაციის ენა – ცნობათა ენა, კატალოგიზაციის მიერ ფორმულირებული ქვეყნის სახელმწიფო ენაზე;

თავსათაურის ენა – თავსათაურის ენა ემთხვევა ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ენას. თავსათაური შეიძლება შედგენილი იქნეს დოკუმენტის ტექსტის ენაზე, ასევე თარგმნის ენაზე, ტრანსკრიპციით, ტრანსლიტერაციით და (ან) გრაფიკით, დადგენილი ბიბლიოგრაფიული დაწესებულების მიერ.

3.1. ენის შერჩევა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას აუცილებელი ხდება იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტში საგამომცემლო ცნობები და ტექსტი სხვადასხვა ენაზეა, და თუ დოკუმენტი შედგება შერეული ან პარალელური ტექსტებისაგან და (ან) საგამომცემლო ცნობები მოცემულია ორ ან მეტ ენაზე.

3.2. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის საგამომცემლო ან მათ ანალოგიურ ენებზე ან ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, სადაც გამოქვეყნებულია დოკუმენტი. ცნობები დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის შესახებ შეიძლება მოყვანილ იქნეს შემადგენელი ნაწილის ტექსტის ენაზე. ამ შემთხვევაში შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიული აღწერილობისა და მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ენები შეიძლება განსხვავდებოდეს.

Чхеидзе, Александр

Песня песней : [Танец „Картули,„] // თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული . – 2004 .– ტ. 2 .– გვ. 231–248.– (ტექსტი რუს. ენაზე).

3.3. თუ ტექსტი მოცემულია ერთ ენაზე, ხოლო საგამომცემლო ცნობები ორ და მეტ ენაზე, მათ შორის ტექსტის ენაზე, ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება დოკუმენტის ტექსტის ენაზე.

4. ორთოგრაფია. რიცხვითი სახელები.

4.1. ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში დაცულია თანამედროვე ორთოგრაფიის ნორმები. გარდა ძველ და ძველ ენაზე სტილიზებულ დოკუმენტებში, რომელთა ორთოგრაფიაშიც ასახულია ეპოქის ენის განსაკუთრებულობანი. ასევე ძველი სტილით ფორმულირებული თანამედროვე ორგანიზაციებისა და დოკუმენტების სათაურებში.

4.2. გრამატიკული კანონები დაცულია შესაბამისად ენისა, რომელზედაც შედგენილია ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა.

4.3. ცნობები, რომლებიც ეჭვს იწვევს, მოიყვანება კითხვის ნიშნის თანხლებით და ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში.

[1838 ?]

- 4.4. რომაული ციფრები და რიცხვითი სახელები სიტყვიერი ფორმით, იცვლება არაბული ციფრებით სცენური ნაწარმოებების, აქტების ან მოქმედებების აღსანიშნავად, მრავალტომიანი დოკუმენტების სერიალური ან სხვა გრძელდებადი გამოცემების ტომების (ნომრების, გამოშვებების) აღნიშვნისას და ა. შ.
- 4.5. რომაული ციფრები შენარჩუნებულია პირთა სახელებთან და ორგანიზაციის დასახელებებთან, თუ ისინი იდენტიფიცირდებიან ამ რომაულ ციფრებთან; ყველა სათაურში საუკუნეების, ყრილობების, კონფერენციების, კონკურსების ნომრების და ა. შ. აღნიშვნისას; რაოდენობივ დახასიათებებში პაგინაციის აღნიშვნისას.

XIX საუკუნის საქართველოს რეფორმები
/ III საერთაშორისო კონფერენცია

- 4.6. რიცხვითი სახელები სიტყვიერი ფორმით შენარჩუნებულია ორგანიზაციის დასახელებაში, თუ სპეციფიკური წესები სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მოითხოვს; ნებისმიერ სათაურში თუ ის წარმოადგენს სათაურის განუყოფელ ნაწილს.

/ მერვე სამეცნიერო კონფერენცია წიგნმცოდნეობის პრობლემებზე
Сказания о пяти богатырях

5. პუნქტუაცია. პირობითი პუნქტუაცია (პირობითი გამყოფი ნიშნები)

- 5.1. ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში პუნქტუაცია ასრულებს ორ ფუნქციას – გრამატიკული სასვენი ნიშნების (პუნქტუაციის) და სასვენი ნიშნების, რომელთაც გააჩნიათ შემეცნებითი ხასიათი ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროებისა და ელემენტების ამოსაცნობად (პირობითი პუნქტუაცია. პირობითი გამყოფი ნიშნები).

პირობითი პუნქტუაცია წამძღვარებული აქვს სფეროებსა და ელემენტებს.

პირობითი პუნქტუაციის გამოყენება დაკავშირებული არ არის ენის ნორმებთან.

- 5.2. პირობით პუნქტუაციად გამოყენებულია სასვენი და მათემატიკური ნიშნები:

- . – წერტილი და დეფისი
- . წერტილი
- , მძიმე
- : ორწერტილი
- ; წერტილ–მძიმე
- ... მრავალი წერტილი
- / დახრილი ხაზი
- // ორი დახრილი ხაზი
- () მრგვალი ფრჩხილები
- [] კვადრატული ფრჩხილები
- + პლუსის ნიშანი
- = ტოლობის ნიშანი

- 5.3. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ბოლოს იწერება წერტილი.

- 5.4. ანალიტიკური აღწერილობის ზოგიერთ სფეროს წამძღვარებული აქვს წერტილი და დეფისი, რომელიც იწერება სფეროს პირველი ელემენტის წინ.

// ცისკარი . – 1965 . – გვ. 35–50.

5.5. თუ ელემენტი სრულდება მრავალწერტილით ან წერტილით შემოკლებული სიტყვის ბოლოს, ხოლო მომდევნო ელემენტის პირობითი პუნქტუაცია არის წერტილი ან წერტილი და დეფისი, მაშინ მომდევნო ელემენტის პირობითი პუნქტუაციის ნიშანი – წერტილი გამოიტოვება.

Единственный свидетель [Текст]; Чрезвычайный посол ... – Томск, 1996.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სქემა

ცნობები დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის შესახებ // ცნობები მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის შესახებ . – ცნობები შემადგენელი ნაწილის ადგილმდებარეობის შესახებ დოკუმენტში . – შენიშვნები.

6. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროები და ელემენტები

თავსათაური

სათაურისა და პასუხისმგებლობის შესახებ ცნობების სფერო

ძირითადი სათაური

= პარალელური სათაური

: სათაურთან დაკავშირებული ცნობები

/ პასუხისმგებლობის შესახებ ცნობები

გამოცემის სფერო

ცნობები გამოცემის შესახებ, რომელშიც შემადგენელი ნაწილია მოთავსებული

/ ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოცემულ გამოცემას შეეხება

, დამატებითი ცნობები გამოცემის შესახებ

საგამომცემლო ცნობების სფერო

. – გამოცემის ადგილი დოკუმენტისა, რომელშიც შემადგენელი ნაწილია მოთავსებული

: გამომცემლობა

ფიზიკური დახასიათების სფერო

. – ცნობები გვერდების რაოდენობის შესახებ, სადაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ობიექტი

: ცნობები ილუსტრაციების შესახებ

+ ცნობები თანმხლები მასალების შესახებ

სერიების სფერო

(სერიის სათაური

= პარალელური სათაური

: ცნობები, რომლებიც სერიის სათაურს ეხება

/ ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც სერიას ეხება

;) სერიის ნაკვეთის ნომერი

შენიშვნების სფერო

საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (დოკუმენტის, სადაც შემადგენელი ნაწილია მოთავსებული)

7. ცნობები დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის შესახებ

- 7.1. ცნობები დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის შესახებ მოიცავს ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის ობიექტის შემადგენელი ნაწილის ძირითად სათაურს, ასევე სათაურებს (ალტერნატიულ, პარალელურ და სხვ.), რომლებიც სათაურთან არის დაკავშირებული.
- 7.2. დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის ძირითადი სათაური მოიყვანება იმავე ფორმითა და იმავე გრამატიკული წესებით, როგორც მითითებულია ინფორმაციის მთავარ წყაროში (მიწერილი წყარო). შემადგენელი ნაწილის ძირითადი სათაური შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი წინადადებისაგან, შემადგენელი ნაწილის საერთო სათაურისა და დამოკიდებული სათაურისაგან.
 წყობილსიტყვაობა
 ქალდეას მონატრება
 ნარკოტიკების ლეგალიზაცია დაუშვებელია
 Гуманизация научного познания [Текст] : гносеол. и методол. аспекты
 მე ვხედავ მზეს: რომანი
- 7.3. შემადგენელი ნაწილის სათაური შეიძლება წარმოდგენილი იყოს გრამატიკული (მათემატიკური ან სხვა) ნიშნებით. ამ შემთხვევაში სათაური გადაიტანება აღწერილობაში იმავე ფორმით, როგორც მითითებულია ინფორმაციის ძირითად წყაროში და ორი წერტილის წამმღვარებით კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმება კატალოგიზატორის მიერ კონკრეტულად ფორმირებული სათაური.
 !!! [ტექსტი]:[მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი]//ცისკარი.–1957.– გვ.118–121
- 7.4. დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის ან ფრაგმენტის აღწერილობისას, რომელსაც არ გააჩნია სათაური შეიძლება ფორმულირებული იქნეს დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე და ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში, ან (ლექსების შემთხვევაში) აღებულ იქნეს პირველი სტრიქონი მრავალი წერტილის თანხლებით და ჩაისვას ბრჭყალებში.
 [ნაწყვეტები დღიურიდან]
 [მოთხრობები]
 „ ქარი ქრის, ქარი ქრის ...“
- 7.5. თუ შემადგენელი ნაწილის ძირითადი სათაური შედგება რამდენიმე წინადადებისაგან, რომელთა შორისაც არ არის სასვენი ნიშანი, აღწერილობაში ეს წინადადებები ერთმანეთისაგან გამოიყოფა წერტილით.
 „დამიხსნას ღმერთმა, ...“ . „ჩემივე თავის სიყვარულმა წამართვა მზერა,...“
 ქართლს. გიორგი ლეონიძეს. რამ შემქმნა ადამიანად.

8. პარალელური სათაური

- 8.1. პარალელურ სათაურად განიხილება ორიგინალის სათაური სხვა ენაზე მოთავსებული ძირითად წყაროში.
- 8.2. ძირითად წყაროში სათაურში რამდენიმე პარალელური სათაურის არსებობის შემთხვევაში, აღწერილობის სათაურში ისინი მოიყვანება ინფორმაციის ძირითად წყაროში არსებული თანმიმდევრობით და ერთმანეთისგან გამოიყოფა ტოლობის ნიშნით. პარალელური სათაურების რაოდენობა განისაზღვრება ბიბლიოგრაფირების დაწესებულების მიერ.
 მსოფლიოს ტექტონიკური რუქა [რუქა]= Тектоническая карта мира = Tectonic map of Earth

აქტუალური პედაგოგიკა და კულტურის დიდაქტიკა : (საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები) = Aktuelle phdagogikal Kulturdidaktik : (Materialen des internationalen Symposiums

9. სათაურთან დაკავშირებული ცნობები

- 9.1. სათაურთან დაკავშირებულ ცნობებს შეიცავს ინფორმაცია, რომელიც ხსნის ბუნდოვან სათაურს.
- 9.2. სათაურთან დაკავშირებული ცნობები მოიცავანება იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია დაზუსტდეს ბუნდოვანი სათაური ან იდენტიფიცირდეს დოკუმენტი ტიპიურ სათაურთან არსებულ ანალოგიურ სათაურებს შორის. სათაურთან დაკავშირებული ცნობები ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში. სხვა შემთხვევაში სათაურთან დაკავშირებული ცნობები გამოიტოვება.

Чудесный дар поэта : [Вступ.ст.]

XVI Всемирный конгресс ИМЕКО : [Междунар. Конфедерация по измерениям. Вена, сентя 2000]

Мажирина, Е.

„ По тебе, Янк, слава добрая...“: [краеведение] // Библиотека.- 2001.-

№ 5 .- С. 41-42.

Петрова, Л.

Современные летописцы малой родины : [О краеведении Новгорода] //

Библиотека .- 2001 .- № 10.- С. 87 – 89.

10. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ

- 10.1. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ მოიცავს ინფორმაციას იმ პირთა ან ორგანიზაციათა შესახებ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ინტელექტუალური ან მხატვრული შინაარსის ნაწარმოების შექმნაში.
- 10.2. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ აღწერილობაში ჩაიწერება იმავე ფორმით, როგორც მითითებულია ინფორმაციის წყაროში, შეძლებისდაგვარად დაზუსტდეს ნაწარმოების შექმნაში მონაწილე პირთა როლი.

/ ივ. ჯავახიშვილი

/ უილიამ შექსპირი; თარგმ. ინგლ. გივი გაჩეჩილაძისა

/ რედ. კოლ. : კორნელი კეკელიძე (მთ. რედ.) [და სხვ.]

/ შემდგ. : პ. სურგულაძე, ს. სურგულაძე

- 10.3. ცნობები პასუხისმგებლობის შესახებ შეიძლება შედგებოდეს ასევე ორგანიზაციათა დასახელებებისაგან.

/ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

/ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11. ცნობები მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის შესახებ

- 11.1. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა დოკუმენტისა, სადაც მოთავსებულია შემადგენელი ნაწილი, დამოკიდებულია დოკუმენტის სახეზე.

- 11.2. თუ მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი, რომელშიც მოთავსებულია შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს პერიოდულ გამოცემას (გაზეთი ან ჟურნალი), მისი პუბლიკაციის ადგილი არ მოიყვანება, გამოწვევის გარდა, თუ ერთი დასახელების ჟურნალი ქვეყნდება სხვადასხვა ადგილას (ქალაქში).
 // ცისკარი . – 1956 . – № 2 . – გვ. 25 – 40.
 // საქართველოს ბიბლიოთეკა.– 2000.– № 4 .– გვ. 55 – 60.
 // Квантовая электроника . – Киев, 1987 .- Вып. 32.- С. 3-13.
 // Квантовая электроника . – М., 1987.- Т. 14, № 7.- С. 512 – 516.
- 11.3. ცნობები მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის მოცულობის შესახებ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში არ მოიყვანება.
- 11.4. თუ მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტს გააჩნია საერთაშორისო სტანდარტული ნომერი, როგორც წესი, მიეთითება აღწერილობაში.

ცხადაძე, ბ.

წიგნმცოდნეობითი პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში: წიგნი, საწიგნე, წიგნთსაცავი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2004.– № 3.– გვ. 35–40.– ISSN 1512-0880.

- 11.5. წიგნიდან ან კრებულიდან შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას, დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელ ცნობებში მოიყვანება დოკუმენტის პუბლიკაციის ადგილი, პუბლიკაციის წელი და გვერდები, სადაც მოთავსებულია შემადგენელი ნაწილი.

დგებუაძე, ო.

განთიადის დედოფალი//ორი დეტექტივი.– თბ., 1991.– გვ. 75–245.

- 11.6. მრავალტომეული გამოცემა გულისხმობს ერთ მთლიან გამოცემას, რომელიც შედგება ორი ან მეტი ტომებისაგან და ერთიანია შინაარსითა და გაფორმებით.
- 11.7. მრავალტომეული გამოცემებიდან ნაწარმოების აღწერილობის დროს მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის შესახებ ცნობებში მოიყვანება დოკუმენტის სახელწოდება, ტომის საერთო რაოდენობა, პუბლიკაციის ადგილი, პუბლიკაციის წელი, ტომის რიგითი ნომერი, გვერდები, სადაც მოთავსებულია ნაწარმოები.

გოგებაშვილი, იაკობ

ორიოდე სიტყვა დანიელ ჭონქაძეზე და ეგნატე ნინოშვილზე // რჩეული თხზულებანი : 5 ტ.–თბ., 1990.– ტ.3.– გვ. 17–19.

- 11.8. სერიული გამოცემები მოიცავს მთელ რიგ დამოუკიდებელ ნაწარმოებებს, რომლებიც გაერთიანებულია ერთ სათაურში, საერთო ან მონათესავე თემატიკით ან სამკითხველო დანიშნულებით და ერთი გამომცემლობის მიერ გამოცემული ერთიანი გაფორმებით, დანომრილი ან დაუნომრავი თანმიმდევრულ ნაკვეთებად. სერიული გამოცემებიდან შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენა ხდება პუნქტში 12.7. მოთავსებული წესების შესაბამისად.

ორბელიანი, სულხან-საბა

წიგნი სიბრძნე-სიცრუისა // ქართული პროზა. – თბ., 1983. – წ. 3. – გვ. 7–179.

ვაჟა-ფშაველა.

ბახტრიონი. სტუმარ-მასპინძელი. გველის მჭამელი // ქართული პოემა . – თბ., 1986 . – წ. 3 . – გვ. 317 – 506.

- 11.9. ორ და მეტ ავტორიან ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, ბიბლიოგრაფიულ აღწერილობის ბოლოს, შენიშვნების სფეროში ახალი მეორე ვერტიკალური ხაზიდან მიეთითება ის ავტორები, რედაქტორები, მთარგმნელები, კოლექტიური ავტორები და ა. შ., რომლებზედაც უნდა შედგეს დამატებითი აღწერილობა. წაემძღვარება სიტყვები „ დამატ. აღწ.“.

კეკელიძე, ვ.

სწავლა–განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქარ – თველოში // კეკელიძე, ვ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია / ვ. კეკელიძე, ა. ბარამიძე . – თბ., 1987 . – გვ. 33–42.

დამატ. აღწ.: მე – 2 ავტორი

- 11.10. მრავალავტორიანი ან ავტორთა კოლექტივის კრებულის შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობის შედგენისას მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის შესახებ ცნობებში, მოიყვანება ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომლებიც შეეხება დოკუმენტს, სადაც მოთავსებულია შემადგენელი ნაწილი.
- 11.11. ავტორთა კოლექტივი – ესაა ავტორთა ჯგუფი, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია გარკვეული პუბლიკაციის შექმნაზე.

ბრეგვაძე, ზურაბ.

ქართული სახელმწიფოს ისტორია და ადამიანის უფლებები // ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა / ლევან ბერძენიშვილი [და სხვ.]; მთ. რედ. ლევან ბერძენიშვილი . – თბ., 2004 . – გვ. 7 – 35.

დამატ. აღწ.: მთ. რედ.

- 11.12. კოლექტიური ავტორი გულისხმობს იურიდიული პირის (დაწესებულების ან ორგანიზაციის) პასუხისმგებლობას ინტელექტუალური ან მხატვრული ნაწარმოების შექმნაზე. კოლექტიური ავტორის კრებულის შემადგენელი ნაწილის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება წიგნის შემადგენელი ნაწილების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის წესების შესაბამისად.

მურღულია, გ.

განათლების პარადიგმა: ტრანსფორმაციის დრო // აქტუალური პედაგოგიკა და კულტურის დიდაქტიკა: (საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები) / ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შტუტგარტის თავისუფალი უმაღლესი სკოლა; რედ.: გურამ ლებანიძე, მზია გალდავა . – თბ. – 2000. – გვ. 39 – 45.

დამატ. აღწ.: რედ.: 2 კოლექტ. ავტორი

ერთავტორიანი სტატიის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ერთავტორიან სტატიაზე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას სტატიის ავტორის გვარი ჩაიწერება თავსათაურში და პასუხისმგებლობის ცნობების სფეროში აღარ მეორდება. მასალის ზოგადი აღნიშვნა ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში და მოიყვანება სათაურის შემდეგ. არ წაემძღვარება არც გრამატიკული და არც პირობითი პუნქტუაცია.

აბულაძე, თეიმურაზ.

სხვისი შვილები: კინომოთხრობა//ცისკარი.–1957.–№3.– გვ. 12–40.

ჯუსოითი, ნაფი.

„ზღვა დაახლის ნაპირს...“: ლექსი/ თარგმანი ხ. ბერულავასი // ცისკარი.– 1965.– №12.– გვ.40–41.

ასათი, რევაზ.

პაპიროსის ცეცხლი. შემოდგომის დღე: ლექსები / თარგმანი ა. მირ-ცხულავასი და ს. შამფრიანისა // ცისკარი.– 1965.– №12.– გვ. 50–51.
დამატ. აღწ.: 2 მთარგმნ.

თუ ნაწარმოების ჟანრი მითითებულია დოკუმენტის თავფურცელზე ან სტატიის ძირითადი სათაურის შემდეგ სათაურთან დაკავშირებული ცნობის სახით, მაშინ მასალის აღმნიშვნელი სიტყვა არ ჩაისმება კვადრატულ ფრჩხილებში და წაემძღვარება პირობითი პუნქტუაცია – ორწერტილი (:).

აბულაძე, თეიმურაზ.

სხვისი შვილები: კინომოთხრობა//ცისკარი.–1957.–№3.– გვ. 12–40.

ორავტორიანი სტატიის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ორავტორიანი სტატიაზე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას თავსათაურში ჩაიწერება პირველი ავტორის სახელი, ხოლო მეორე ავტორი მოიყვანება პასუხისმგებლობის ცნობების სფეროში და აღწერილობის ბოლოს, შენიშვნების სფეროში. ახალი მეორე ვერტიკალური ხაზიდან მიეთითება იმ პირთა და კოლექტიურ ავტორთა დასახელება, რომლებზედაც უნდა შედგეს დამატებითი აღწერილობა.

ჩხეიძე, ა.

ცეკვა „ქართული“ მსოფლიოს ფოლკლორული შედევი / ა. ჩხეიძე, ლ. ჩხეიძე // თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები: [წ.] 2 . – თბ.: მეცნიერება, 2004 . – გვ. 231–249.

დამატ. აღწ. : მე–2 ავტ.

სამავტორიანი სტატიის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

სამავტორიან სტატიაზე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას თავსათაურში ჩაიწერება პირველი ავტორის სახელი. დანარჩენი მიეთითება პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში. ავტორთა სახელები ერთმანეთისაგან გამოიყოფა სასვენო ნიშნით – მძიმე (,) და აღწერილობის ბოლოს, შენიშვნების

სფეროში, ახალი მეორე ვერტიკალური ხაზიდან მიეთითება იმ პირთა და კოლექტიურ ავტორთა რაოდენობა, რომლებზედაც უნდა შედგეს დამატებითი აღწერილობა.

ჭანიშვილი, რ.

ანზორ ერქომაიშვილის ეთნოგრაფიული მოგონება „ტელეფიაია–მელიაი“ / რ. ჭანიშვილი, ლ. ოსეფაშვილი, ე. ბაქრაძე // თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომები: [წ.] 2 . – თბ.: მეცნიერება, 2004 . – გვ. 225–230.

დამატ. აღწ. : მე–2 ავტ.

ოთხ და მეტავტორიანი სტატიის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

ოთხ და მეტავტორიანი სტატიებზე ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას სტატია აღიწერება სათაურზე. პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში კი ჩაიწერება ავტორებიდან პირველი ავტორის სახელი და კვადრატულ ფრჩხილებში სიტყვა „და სხვ.“.

/ ივ. ჯავახიშვილი [და სხვ.]

/ რედკოლ.: კ. კეკელიძე (მთ. რედ.) [და სხვ.]

პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში ავტორი, რედაქტორი, მთარგმნელი, ილუსტრატორი, მხატვარი და ა. შ. ერთმანეთისაგან გამოიყოფა ნიშანით წერტილ–მძიმე (;).

უავტორო სტატიის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

სტატიებზე, რომლებზედაც მითითებული არ არის ინდივიდუალური ან კოლექტიური ავტორი, ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება სათაურზე. დანარჩენი ბიბლიოგრაფიული მონაცემები გადაიტანება ერთავტორიანი, ორავტორიანი და ა. შ. სტატიების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენის წესების შესაბამისად.

Печатная продукция в современном мире // Библиотека.- 2000.- №7.- с.8-10.

ინტერვიუ, საუბარი, დიალოგი, კითხვა–პასუხი

ინტერვიუს ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას თავსათაურში გამოიტანება იმ პირის სახელი (რესპოდენტის), რომლისგანაც იღებენ ინტერვიუს. ეს პირი ითვლება სტატიის ავტორად, ხოლო კორესპონდენტის სახელი კი მოიხსენება პასუხისმგებლობის შესახებ ცნობებში.

სანიძე, მ.

ძნელია დიდი მამის შვილობა: ინტერვიუ მ. შანიძესთან / ჩაიწერა ნ. ქიმერიძემ // საქართველოს რესპუბლიკა.– 1966.– 26 იანვარი . – გვ. 3.

დამატ. აღწ.: მე–2 ავტ.

დიალოგის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას დიალოგის ავტორებად მიიჩნევიან მასში მონაწილე პირები და თავსათაურში ჩაიწერება ამ პირთაგან პირველის სახელი, ხოლო დანარჩენები მოიხსენებიან სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში (დეშიფრაცია).

ჯგუზურია, ვ.

მხატვარი შალვა ჩიქოვანი: [ოპერის თეატრის მხატვრის შესახებ: დიალოგში მონაწილეობდნენ თეატრმცოდნეები: ვ. ჯგუზურია და ქ. ტომარაძე]// ლიტ. საქართველო.– 1966.– 11–17 მარტი.– გვ. 13.
დამატ. აღწ.: 2 ავტ.

საუბარი და ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნებულია კორესპონდენტის ხელმოწერით და ტექსტში ჭარბობს მისი კომენტარები და დასკვნები, ავტორებად მიიჩნევიან ორივე პირი და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის თავსათაურში ჩაიწერება კორესპონდენტის სახელი, ხოლო რესპოდენტის სახელი მოიხსენება სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში (დეშიფრაცია).

ალხაზიშვილი, ს.

ყოველივე ის, როგორც სინამდვილეშია: [მწერალსა და მეცნიერს რ. ჩხეიძეს მისი ესეისტურ–კრიტიკული პროზის ნიმუშთა კრებულის „როცა შვიდნი ვართ“ შექმნის ისტორიის შესახებ / ესაუბრა ს. ალხაზიშვილი] // ლიტ. საქართველო .– 2002.– 9–16 თებ.– გვ. 14.
დამატ. აღწ.: მე–2 ავტ.

თუ საუბარი ან ინტერვიუ გამოქვეყნებულია სამი პირის სახელით, მაშინ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის თავსათაურში ჩაიწერება პირველი პირის სახელი, დანარჩენები მოიხსენებიან სათაურთან დაკავშირებულ ცნობებში.

თუ საუბარში ან ინტერვიუში მონაწილეობს ოთხი და მეტი პირი, მასალა აღიწერება სათაურზე.

პროკურატურა რეფორმის გზაზე: [საუბარში მონაწილეობენ: იუსტიციის მთავარი მრჩეველი ი. გაბისონია და პროკურორები: ნ. ყაისაშვილი [და სხვ.] // ლიტ. საქართველო.– 2003.– 26 იანვ.– 2 თებ.– გვ.6.

დამატ. აღწ.: 1 ავტ. (პირველი)

თუ ინფორმაციის წყაროში მოთავსებულია ერთი ავტორის რამდენიმე ნაწარმოები, და სათაურად მოყვანილია მასალის აღმნიშვნელი სიტყვა, ამ შემთხვევაში მოთხრობების სათაურები გადაიტანება ჩანაწერის ბოლოს, შინაარსში, ახალი ხაზიდან და ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი შედგება ასე:

რჩეულიშვილი, გურამ.

მოთხრობები // ცისკარი.– 1957.– № 1.– გვ. 52–56.

შინაარსი: სიყვარული მარტის თვეში. ნელი ტანგო.

თვირთვილა. შემოდგომა. ბაბუა კოტესი. სათაგური.

რეცენზიების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

რეცენზიებისა და რეფერატების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შედგენისას ცნობები რეცენზირებადი (რეფერირებადი) დოკუმენტების შესახებ მოყავთ შენიშვნებში სიტყვების შემდეგ: „რეცენზია წიგნზე“, „რეცენზია სტატიაზე“, „რეფერატი წიგნზე“, „რეფერატი სტატიაზე“ და ან სხვა ენებზე მათი ეკვივალენტით: „Rev. op.“, Ref. op.“.

Из историй белого движения [Текст]/ К. Александров//Мир библиографии.- 998.- №2.- с.94-95.- Рец. на кн.: Библиографический справочник высших чинов добровольческой армии и Вооруженных сил Юга России: (материалы к истории белого движения) / Н. Н. Рутыч.- М. Ж. Regnum: Рос. архив, 1997.- 295 с.

თუ რეცენზიას ან რეფერატს არ გააჩნია სათაური, სათაურად კვადრატულ ფრჩხილებში ჩაიწერება სიტყვა „რეცენზია“, „რეფერატი“ ან მათი ეკვივალენტი სხვა ენებზე.

[Рецензия] [Текст] / К. Александров//Мир библиографии.- 1998.- №2.- с.94-95.- Рец. на кн.: Библиографический справочник высших чинов добровольческой армии и Вооруженных сил Юга России: (материалы к истории белого движения) / Н. Н. Рутыч.- М. Ж. Regnum: Рос. архив, 1997.- 295 с.

პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, მომხმარებელმა შეიძლება რეცენზია მოითხოვოს იმ დოკუმენტის ავტორით ან სათაურით, რომლის რეცენზიაც აინტერესებს, აქედან გამომდინარე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი რეცენზიაზე შეიძლება შედგეს ასეთი სახით:

ხარაძე, კ.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (ქართლი) . – თბ.: მეცნიერება, 1991.– 213 გვ.– რეც.: გვასალია, ჯ. ახალი ნაშრომი საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში // მნათობი.– 1993.– № 7.– გვ. 183–192.

ოფიციალური მასალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული და სხვ. სახის ოფიციალური მასალები აღიწერება კოლექტიური ავტორის სახელზე.

ოფიციალური მასალების კოლექტიურ ავტორებად მიიჩნევა:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები (პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია, სამინისტროები, საკრებულოები, გამგეობები);
- პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

- სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო, სამეურნეო და სხვ. სახის დაწესებულებები და ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, იუნესკო და სხვ.);
- დროებითი ორგანიზაციები (კონგრესები, ყრილობები, სიმპოზიუმები და სხვ.).

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების მიერ გამოცემული ოფიციალური მასალების აღწერილობისას თავსათაურში პირველ რიგში ჩაიწერება ქვეყნის სახელწოდება, შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდება, როგორც ინფორმაციის წყაროშია მითითებული.

საქართველოს პარლამენტი.

„საბაჟო გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე: საქართველოს პარლამენტის დადგენილება: 1996 წ. 27 დეკ.- თბ.: ნორმა, 2001.- 14 გვ.

საქართველოს კანონები.

„არადის შესახებ“: საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე // საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.- 2006.- 26 ივლ. (№ 27).- გვ.1.

პრეზიდენტის სახელით ცალკე გამოცემული ბრძანებულებები, განკარგულებები და სხვ. მასალები აღიწერება პრეზიდენტის სახელზე. აღწერილობის თავსათაურში ქვეყნის სახელწოდების შემდეგ, ფრჩხილებში, მიეთითება პრეზიდენტად ყოფნის ვადები ან დასაწყისი წელი.

საქართველოს პრეზიდენტი (1995 – 2003; ე. შვეარდნაძე)

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დროის ათვლის შესახებ: ბრძანებულება // საქართველოს რესპუბლიკა.- 2003.- 24 სექტ. (№255).- გვ. 2.

საქართველოს პრეზიდენტი (2004 –; მ. სააკაშვილი)

ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესების დამტკიცების შესახებ: ბრძანებულება: 1 თებ. 2007. №78 // საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.- 2007.- 1 თებ. (№14).- გვ. 4-6.

სამინისტროების, კომიტეტების, სამმართველოების, პოლიტიკური პარტიების, სამეცნიერო, კულტურისა და განათლების დაწესებულებების, საკრებულოების, მერიების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დროებითი გაერთიანებების პასუხისმგებლობით გამოცემული დოკუმენტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას თავსათაურში ზემოხსენებული ორგანიზაციების დასახელებებს წინ წაემძღვარება ქვეყნის დასახელება:

საქართველო. პარლამენტი.

საქართველო. სამინისტრო.

საქართველო. პარლამენტი: კულტურის, მეცნიერებისა და განათლების კომიტეტი.

საქართველო. ბურჯანაძე – დემოკრატები.

საქართველო. ნაციონალური მოძრაობა.

დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

1. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა ფართოდ გამოიყენება ძირითად ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებთან. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მიზანია ყოველმხრივ მოიცვას და გახსნას ბიბლიოთეკის ფონდი და ფართო ხელმისაწვდომობის წერტილების საშუალებით უზრუნველყოს ინფორმაციის ძიება;
2. დამატებითი აღწერილობის დანიშნულება არის შექმნას ავტორთა ნაშრომებისა და ორგანიზაციათა პუბლიკაციების კომპლექსი გამოცემის შექმნაში მონაწილე პირთა ფუნქციების მიუხედავად;
3. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენა დამოკიდებულია გამოცემისა და ძირითადი აღწერილობის სახეებზე. მისი ფართოდ გამოყენება განისაზღვრება ბიბლიოთეკის ამოცანებითა და მკითხველთა შემადგენლობით, მათი მოთხოვნებით;
4. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შესადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, რომლის თავსათაურში ჩაიწერება დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის თავსათაური და შენიშვნების სფეროში, ახალი მეორე ვერტიკალური ხაზიდან მიეთითოს.

ბარამიძე, ა.

კეკელიძე, კ.

სწავლა–განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში // კეკელიძე, კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია / კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე.–თბ., 1987.– გვ. 33–42.

5. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის თავსათაურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:
 - პირის სახელი (გამოცემის შექმნაში მონაწილე სხვადასხვა ფუნქციების მქონე პირთა სახელები);
 - კოლექტიური ავტორი (ორგანიზაცია);
 - სათაური;
6. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედგენისას თავსათაურში პირის სახელის შემდეგ მიეთითება განმარტებითი სიტყვა. ეს წესები არ ეხება თანაავტორებს;
7. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება თანაავტორებზე ორ და მეტ ავტორიანი სტატიების ანალიტიკური აღწერილობის შედგენისას.

ბარამიძე, ა.

კეკელიძე, კ.

სწავლა–განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები
ძველ საქართველოში // კეკელიძე, ვ. ძველი ქართული
ლიტერატურის ისტორია / ვ. კეკელიძე, ა. ზარამიძე.–თბ.,
1987.– გვ. 33–42.

*ასეთი დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება მესამე
თანაავტორზე.*

8. დამატებითი აღწერილობის თავსათაურში რედაქტორის, მთარგმნელის,
ილუსტრატორის სახელებთან მიეთითება განმარტებითი სიტყვები: „რედ.“,
„მთარგმნ.“, „ილ.“.

მირცხულავა, ა. მთარგმნ.

ასათი, რევაზ.

პაპიროსის ცეცხლი. შემოდგომის დღე [ლექსები] /
თარგმანი ა. მირცხულავასი და ს. შამფრიანისა//ცისკარი.–
1965.– № 12.– გვ.50–51.

*ასეთი სახით შედგება დამატებითი აღწერილობა მეორე ილუსტრატორზე,
რედაქტორზე.*

9. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება ორ და მეტ
კოლექტიურ ავტორთა, თანაავტორთა მიერ შექმნილი გამოცემების
ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული აღწერილობისას.

ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მურდულია, გ.

განათლების პარადიგმა: ტრანსფორმაციის დრო [ტექსტი]// აქტუალური
პედაგოგიკა და კულტურის დიდაქტიკა: (საერთაშორისო სიმპოზიუმის
მასალები) / ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი, შტუდგარტის თავისუფალი უმაღლესი სკოლა; რედ.: გურამ
ლებანიძე, მზია გალდავა.– თბ.– 2000.–გვ.39–45.

*ასეთივე ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება მეორე კოლექტიურ
ავტორზე, თანაავტორზე.*

შტუდგარტის თავისუფალი უმაღლესი სკოლა.

მურდულია, გ.

განათლების პარადიგმა: ტრანსფორმაციის დრო [ტექსტი]// აქტუალური
პედაგოგიკა და კულტურის დიდაქტიკა: (საერთაშორისო სიმპოზიუმის
მასალები) / ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი, შტუდგარტის თავისუფალი უმაღლესი სკოლა; რედ.: გურამ
ლებანიძე, მზია გალდავა.– თბ.– 2000.–გვ.39–45.

10. დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა სათაურზე შედგება
პარალელური სათაურის არსებობის შემთხვევაში.

Библиографическое описание составных частей документа (პარალელური სათაური).

დოკუმენტების შემადგენელი ნაწილების ბიბლიოგრაფიული აღწერა = Библиографическое описание составных частей документов / შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, ო. ოსაძე // დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერა: დამხმარე პრაქტიკული სახელმძღვანელო მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის.- თბ., 1997.- 80 გვ.

11. პერსონალის ტიპის დამატებითი ბიბლიოგრაფიული აღწერილობა შედგება სტატიაზე, მიძღვნილი რომელიმე პირის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ფანჯიკიძე, გურამ, მასზე.

ფანჯიკიძე, თეიმურაზ.

ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა: (სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა გურამ ფანჯიკიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში) // ლიტ. საქართველო.- 2005.- 4 მარტი.- გვ. 5-6.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული აღწერა: დამხმარე სახელმძღვანელო მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის = Библиографическое описание документа: Практическое пособие для массовых библиотек / შემდგ.: გ. თაყნიაშვილი, ო. ოსაძე; რედ.: ს. პულუზაშვილი.- თბ., 1997.- 80 გვ.
2. ოსაძე, ო. საბიბლიოთეკო კატალოგები: (სახელმძღვანელო) / რედ.: ა. ლორია.- თბ.: ქალდეა, 1995.- 160 გვ.
3. Российские правила каталогизации: Ч.1: Основные положения и правила.- М., 2004.- 106 с.
4. Библиографическая запись. Библиографическое описание. Общие требования и правила составления: ГОСТ 7.1-2003.- М., 2004.- 106 с.
5. Каспарова, Наталья. Язык библиографической записи // Библиотека.- 2004.- №5.- С. 43-45.
6. Бахтурина, Тамара. Структура и объект библиографической записи. Пунктуация // Библиотека.- 2004.- №3.- С.48-50.
7. Библиографическая запись. Заголовок. Общие требования и правила составления: ГОСТ 7-80-2000.
8. Библиографическое описание документа: Общие требования и правила составления: ГОСТ 7.1-84.- М., 1984.- 75 с.
9. Правила составления библиографического описания: Ч. 1: Книги и сериальные издания / Межведомственная каталогизационная комиссия при Государственной библиотеке СССР им. В. И. Ленина.- М., 1986.- 527 с.
10. Haller, Klaus, Popst, Hans. Katalogisierung nach den RAK-WB: Eine Einfuehrung in die Regeln Fuer die Alphabetische Katalogisierung in wissenschaftlichen Bibliotheken.- 5. ueberarb. Aufl.- Muenchen [u. a.]: K. G. Saur, 1996.- 327 s.